საჯარო სამართლის იურიდიული პირი
წიაღის ეროვნული სააგენტო

KA020100112559420

მისამართი: თბილისი , დავით აღმაშენებლის გამზ. N150 ტელ: **+995 591 40 40 51**: ფაქსი: **+995 32 243 95 02**

 # 22/7864 **29 / ოქტომბერი / 2020 წ.**

საქართველოს გარემოს დაცვისა
და სოფლის მეურნეობის
მინისტრის მოადგილეს ქალბატონ
ნინო თანდილაშვილს

ქალბატონო ნინო,

თქვენი 2020 წლის 22 ოქტომბრის №9989/01 წერილის პასუხად (სააგენტოში რეგისტრ. №9345, 22.10.2020 წ.), რომელიც ეხება „დაბა სურამის გენერალური გეგმის“ პროექტსა და მისი სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების (სგშ) ანგარიშს, თანდართული დოკუმენტაციისა და სააგენტოში არსებული ინფორმაციის საფუძველზე გაცნობებთ, რომ საპროექტო ტერიტორია მოიცავს:

- მინერალური წყლის №98 ჭაბურღილს, №1 და №2 წყაროებს (რკინის წყალი) და მათ სანიტარიული დაცვის პირველ (მკაცრი რეჟიმის) ზონებს;
- ზინდისის კვარციანი ქვიშის გამოვლინებას;
- მიწისქვეშა მტკნარი წყლის ლიცენზიებს (ლიც. №1003128, გაცემულია 26.11.15 წ. 25 წლის ვადით, ფ/პ ნუგზარ თათარაშვილი; ლიც. № 1003785, გაცემულია 21.07.16 წ. 25 წლის ვადით, ი/მ „ირაკლი ჩადუნელი“) და მათ სანიტარიული დაცვის პირველ (მკაცრი რეჟიმის) ზონებს;
- საპროექტო ზონის ფარგლებში ფიქსირდება წყალპუნქტები (2 ჭა) და მათი სანიტარიული დაცვის პირველი (მკაცრი რეჟიმის) ზონები (იხ. დანართი).

„წიაღის შესახებ” საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, რომელიც არეგულირებს წიაღის ფონდის მიწების გასხვისების საკითხებს, განსაზღვრულია, რომ „აკრძალულია წიაღის ფონდის მიწების საკუთრების უფლებით, იჯარით ან სხვა ფორმით გაცემა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს (შემდგომ - სამინისტრო) სისტემაში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიულ პირთან - წიაღის ეროვნულ სააგენტოსთან შეთანხმების გარეშე, ხოლო ლიცენზირებული ობიექტის შემთხვევაში - აგრეთვე ლიცენზიის მფლობელთან შეთანხმების გარეშე“.

ვინაიდან, საპროექტო ტერიტორია მოიცავს მიწისქვეშა წყლის ობიექტებს, ჩასატარებელი სამუშაოების დაშვება/აკრძალვა რეგულირდება „სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიას დაქვემდებარებული მიწისქვეშა წყლის ობიექტების სანიტარიული დაცვის ზონების განსაზღვრისა და დამტკიცების წესის თაობაზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 26 მარტის №161 დადგენილებით.

დანართი: Shp ფაილები.

პატივისცემით,

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს სსიპ
წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსის
მოვალეობის შემსრულებელი

ნანა ზამთარაძე